

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბოტი ბეჭდუბი სიფყაა, ფყილებით და ჭბბბბით ბუბბის გაცანა ყუულა უკადბბბბბე უსბბბბბბ.



დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 20 დეკემბერი, 2014 წელი.

№257 (7638)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

დღის ამოჯანსუღიდან

ეკრანზე ისევ კოჟორიძე, გიგაური და ლომჯარია ჩანან...

— დიას, დიას, რახან კოჟორიძე, გიგაური და ლომჯარია გვეყვანან, არაფერში აღარ გვეჭირდება აღარც მთავრობა, აღარც პრეზიდენტი და აღარც პარლამენტი.

— ეგ როგორ?

— როგორ და, საბოლოო სიტყვას მაინც ან კოჟორიძე ამბობს, ან გიგაური ანდა ლომჯარია აჯამებს. დღეს მთავარი სიტყვა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ეკუთვნის.

— პირდაპირ საკვირველი ამბავია, თითქმის ყველა ტელევიზიის ეკრანზე ეგენი ჩანან და ეგენი ლაპარაკობენ.

— მართალია, მაგათი მოსაზრებით რამე აზრი თუ წინადადება ჯერ არც პრეზიდენტს უთქვამს, არც პრემიერ-მინისტრს და არც პარლამენტს. იტყვიან და ეკრანზე, მეტადრე „რუსთავი-2“-ის ეკრანზე, უმალ ეგენი ჩნდებიან და ყოველ სამთავრობო აზრსა თუ წინადადებას ეგრევე ჩვარში კრავენ, იწუნებენ,

„რუსთავი-2“, იქით „მაესტრო“, „ობიექტივი“, „კავკასია“, ჩერგოლეიშვილის „ტაბულაზე“ ხომ ცალკე ლაპარაკია საჭირო.

— ისე, მაგ „ტაბულამ“ გამახსენა: თავის დროზე უშიშროების საბჭოს მდივანმა, ჩერგოლეიშვილის ძვირფასმა უღელტოლმა გიგა ბოკერიამ, როგორც ამბობენ, ოცდაათი მილიონი ლარი არამიზნობრივად უგზო-უკვლოდ გააქრო, ვითომ რატომ მიაჩუმათეს?

— შეატყაპუნებინეს, როგორც ჩანს.

— ეტყობა, ბარამიძე გიგასე შეარჩინეს თავისი მინისტრობის დროს ერთი სვანური სოფელ-თემის ამონყვეტა.

— ბოკერიასი და ბარამიძისა რა უნდა გიკვირდეს, როცა ევროკავშირის პარლამენტი საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვან დონისძიებებზე მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სხდომაზე იწვევს ძებნილ და ათას უბედურებაში ბრალდებულ ექს-პრეზიდენტს, რომელიც პირდაპირ ოთხფეხა ტყუილმფრქვევლად იქცა და „ქართული ოცნების“ და, კერძოდ ხელისუფლების „ავიდა ბოროტი დედინაცვლისა თუ მამინაცვლის“ ბიძინა ივანიშვილის ლანძღვა-გინებით აღმა-დაღმა სერავს ამ ცოდვილ დედამიწას.

ერთი სიტყვით, ნამდვილად ისეა საქმე, როგორც ერთი ჩვენი ფრიად ოსუნჯი პოეტი ამბობს, კაცმა არ იცის, ვისი ვიოლინო ვის როიალშია...

— ჰოდა, ბოლოსა და ბოლოს, ხომ უნდა გაირკვეს თუნდაც ეგ ამბავი.

— ისე, როგორც ჩანს, სხნა უკრაინის ამჟამინდელ პრეზიდენტშია. ჩემი არ იყოს, ბევრი ფიქრობს, რომ, რახან დასავლეთი „ოცნების კოალიციას“ შეერჩევით სამართალსა და ოპოზიციის პოლიტიკურ დევნას აბრალეებს, ოცნებელებმა ხერხს მიმართეს, პოროშენკოს ფარულად მოელაპარაკენ და, რადგან თვითონ აგრევიად გაუჭირდათ სამართლიანობის აღდგენა, ამ დამნაშავე და გაღმა მოდავე ნაციონალებს ნელ-ნელა აწინაურებინებენ უკრაინის ხელისუფლებაში.

— ნამდვილად კარგი ხერხია, ტყუილად არ უთქვამს ჩვენს ხალხს, ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო. ღმერთმა ქნას, თანდათან სულ გაკრიფონ დროის გარეთ მყოფი ეგ ცოდვისშვილები და რახან აქ ციხეში ვერ ვახერხებთ მაგათ „ექსკურსიას“, კიევიში მაინც ამოვავაფინოთ თავი...

— არადა, როდემდე ვუყუროთ ამ ჩვენი პროკურატურის ახალ რეფორმას, რომელიც ჯერაც არ დაწყებულია. სამართლიანობის აღდგენის ლოდინში ამოგვძრა სული...

— კარგი, გეყოფათ, აგე, ტელევიზორში ისევ კოჟორიძე გამოჩნდა, რიგში გიგაური და ლომჯარია დგანან...



უარყოფენ, მთელი თავიანთი შესაძლებლობის ზღვარზე აბითურებენ.

— მაგათ არც ეგრეთ წოდებული თვითმარქვია ექსპერტები ჩამორჩებიან, სოსო ცისკარიშვილს, ხათუნა ლაგაზიძესა და თორნიკე შარაშენიძეს თუ უსმენ, დღეს თუ არა, ხვალ უკვე თავისით გადადგება ამჟამინდელი უხვი დაპირებებით მოსული ხელისუფლება, რომელიც თურმე ვერც საშინაო პოლიტიკას ართმევს თავს და, მით უმეტეს, ვერც საგარეოს...

— გიორგი გაბუნია ვინც არის და რაც არის, გასაგებია, მაგრამ, მართალი გითხრა, ვერ გამოგია ხანაშიაში სატელევიზიო წყვილის ჯანგირაშვილისა და აქუბარდიას სახელმწიფო „კავკასიის“ პოზიცია. იმ მანასისი არ იყოს, ეგენიც ხან ასე არიან, ხან ისე.

— ეგრეა, ეგრე, პოლიტიკურად მაგათი საქციელი ერთ ძველთაძველ ფრაზას მაგონებს, იმ მერყევე ადამიანებზე თქმულს, რომლებიც მუდაბ ისე ირხევიან, ვითარცა ლერწამნი ქართავან ძლიერთა.


— თუმცა, ეს მართო მაგათ არ ენება. მაგ „მერხვე ლერწმის“ მდგომარეობაში, ბევრი დღევანდელი პოლიტიკოსია. თუნდაც თავისუფალი დემოკრატები, გუშინდელ თავიანთ ტკბილ გალობას დღეს უკვე სიმწარე და შხამი გაურჩეს.

— ასეა თუ ისე, ხალხი ნამდვილად დაიქანცა და გასაგათადა ხელისუფლების მიმართ ამდენი უსაგნო, არცთუ იშვიათად, მტრული თუ არა, აშკარად ფეხის დადების მძაფრი სურვილით გაუღვინილი ლაქლაქით.

— გამოდის, რომ ყველა ბრძენია, უფრო სწორად, ბრძენთა ბრძენია, ხელისუფლებისგან განსხვავებით ყველამ ყველაფერი იცის და ამიტომაც ბრძენთაბრძენობენ აქეთ

მოისმინა გურამ გოგიაშვილმა

დიდება უნებავს!



ჩემო მხატვანო! მოგესალმები მხცოვან არქიტექტორსა და მხატვარს, გულითადად გილოცავ საიუბილეო თარიღს 80 წელს და გისურვებ ჯანმრთელობასა და დღევანდელობას. კურთხეულია ხუროთმოძღვრება, შენ ღვთით დალოცვილი ხელოვნების დიდებული წარმომადგენელი ხარ, რომელმაც მთელი გავლილი გზა აღმშენებლობას დაუთმო.

აღამიანს შორეულ წარსულში მშენიერებისა და სილამაზის ლტოლვამ მღვიმეში კედლები მოახატინა. მსოფლიოში ყველა დიდი ხელოვანის შემოქმედება ამ განცდითაა შექმნილი. მე შენს ხელოვნებაში სწორედ ის მომწონს, რომ მშენიერებას განსაკუთრებულ ადგილს უთმობ. ამის მაგალითია „ალგეთის ბაზილიკა“. მზის ჩასვლის დროს იგი ულამაზესი ხდება და ახალ აზრს იძენს. ამგვარი რამ ბევრია შენს შემოქმედებაში, ჩამოთვლას არ ვაპირებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს, რაც კი აგიგია, ყველგან იგრძნობა არქიტექტურაში ყველაზე მნიშვნელოვანი რამ — იგი ადამიანისთვის კეთდება.

ჩემო ვახტანგ, ძალიან ბევრს უტოვებ ქვეყანას, თუმცა, ჯერ კიდევ რამდენს ააშენებ შენი ენერჯის პატრონი, ღმერთმა უწყის. შენ საქართველოს საამაყო და სახელოვანი შვილი ხარ. არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მრავალი ქვეყნის პრემიების მქონე ადამიანი. მსოფლიოს ყოველ დიდ ქალაქში გქონდა გამოფენები და ლექციები, მრავალი წიგნისა და შრომის ავტორი ხარ. საქართველოს პოლიტიკური უნივერსიტეტის პროფესორი ახალგაზრდებს ასწავლი და უზიარებ შენს დიდ გამოცდილებას, ეს ხომ ბედნიერებაა! ამიტომ იყავი მხნედ, საქართველოში აღმშენებლობის დრო მოდის.

მერაბ ბარქანიშვილი.
2014 წლის 17 დეკემბერი.

საერთაშორისო აკადემიის სხდომით

ბატონო მხატვანო, გულით გილოცავთ დიდ დღესასწაულს — 80 წლის იუბილეს. თქვენ მიაღწიეთ არქიტექტურული პროფესიის მწვერვალს და გახდით არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის სიამაყე.

გიორგი სტოილოვი,
არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი.

06. 6-7 83.

სანდრო თვალჭრალიძე:
საუღრისის ბარბეშო
პსმაურობთ, მაგრამ
პრეზერს ვაბეობთ
იმ ადგილებზე, 5
სადაც მართლა
მოიპოვებოდა ოქრო

საჭიდაო
სამყაროში
დანყებული
პროცენსი 9
ჯანსაღი
პროცენსია
მოჭიდავეთა პასუხი ბატონ
სოსო ჯაჭვიანს

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

რეიტინგი

საქართველო 34-ე



უეფას საკლუბო რეიტინგში, რომელიც ბოლო 5 სეზონის შედეგებს ითვალისწინებს, საქართველო 34-ე ადგილზე იმყოფება.

საქართველოს კლუბები პოსტსაბჭოთა სივრციდან ჩამორჩებიან რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, მოლდოვის, ბელარუსისა და ყაზახეთის კლუბებს.

რაც შეეხება ჩვენს ქვემოთ მყოფ კლუბებს, საქართველომ გაუსწრო ფინეთს, ისლანდიას, ბოსნიას, ალბანეთს, ჩერნოგორიას, მაკედონიას, ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნებს: ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს.

ქართული კლუბების კოეფიციენტი 9.375 შეადგენს, ხოლო პირველადგილოსანმა ესპანურმა კლუბებმა 92.570 კოეფიციენტით საუკეთესო შედეგი აჩვენეს.

მანუჩარ გიორგაძე

ლეგიონი

ცხადამე და ქართველებმა ბაქოში დერბი მოიგეს



აზერბაიჯანის საფეხბურთო პრემიერლიგის მე-17 ტურში კახა ცხადამის მიერ განვრთნილმა ბაქოს „ინტერმა“ დედაქალაქურ დერბოში თავის მოედანზე „ნეფთჩის“ 2:1 მოუგო და უშუალო კონკურენტს 2 ქულით გაასწრო.

ქართველმა ცენტრალურმა მცველმა ალექსანდრე ამისულაშვილმა გამარჯვებულელებში სრულად ითამაშა, ფორვარდი ბაჩანა ცხადამე მოედანზე 55-ე წუთზე შევიდა, ხოლო მეკარე გიორგი ლომაია თადარიგში ყოფნით შემოიფარგლა.

„ინტერს“ 28 ქულა აქვს და 10-გუნდიან ჩემპიონატში მეორე ადგილზეა. ბაქოელები პირველ ადგილზე მყოფ აგდამის „ყარაბაღს“ 3 ქულით ჩამორჩებიან.

კობა კობახიძე

შანსი

იაჰინგა, ყველაფერი ანანიძეა და მოკიდებული

მოსკოვის „სპარტაკის“ გენერალურმა დირექტორმა რომან ას-საბაძემ ინტერნეტპორტალ championat.com-თან ინტერვიუში საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების შემტევი ნახევარმცველის ჯანო ანანიძის მოსკოვური გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვედრის მიზეზი განმარტა.



„დუბლებში გადაყვანის ცნობილ ისტორიამდე ანანიძე პირველ გუნდში ითამაშებდა. მთავარმა მწვრთნელმა მურატ იაკინმა შემხვედრი ნაბიჯი გადადგა და ის დუბლშემადგენლობიდან დააბრუნა, თან თქვა: „მომავალში ყველაფერი მოთამაშეზეა დამოკიდებული“ – განაცხადა ასსაბაძემ.

გიორგი შოთაძე

ეპროლიგა

მარკოშვილის და ცხკა-ს ათიანობა

მანუჩარ მარკოშვილის ცხკა ერთადერთი გუნდია, რომელმაც ეპროლიგის ჯგუფური ეტაპი მაქსიმალური შედეგით დაასრულა.

ქართველმა კალათბურთელმა მოედანზე 23 წუთი გაატარა და მასპინძლებს 10 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი და 1 ჩაჭრა შესძინა.

ისიც ვთქვათ, რომ მარკოშვილმა ბურთი ერთხელ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ცხკა-ს ათივე მატჩი მოიგო და A ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

მიტალი ჯაფარიძე



კალათბურთი

ჩაქან ჩინო „დას მავრიქსში“ გადვიდა

როგორც NBA.com იუწყება, „ბოსტონიდან“ „დალასში“ რაჟან რონდო და დუაიტ პაუელი გადავიდნენ.



ამ გაცვლაში ყველაზე მნიშვნელოვანი რაჟან რონდოს ტრანსფერია. ის 2006 წლიდან „ბოსტონ სელტიქსში“ თამაშობდა, სადაც 2008 წელს NBA-ს ჩემპიონიც გახდა.

ბაშან დოლიძე

საბურთაო

ქართლოს ჭუმბურიძე



კლუბების „კრწანისის“, „მორკინალისა“ და „საბურთალოს“, ხოლო მოგვიანებით საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის აღსაზრდელებს უწილადა.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნაომარმა მამულიშვილმა ძვირფას ძმასთან – კახა ჭუმბურიძესთან და კეთილ ხალხთან ერთად უკვდავების შარავანდედი დაადგა სამშობლოსათვის თავშენიერი ბავშვობის მეგობრის ზაზა ბენდელიანის ხსოვნას.

მაღე ჭუმბურიძეთა ფესვმავარ გვარს ქართლოსის მესამე ნაშვიერი დაამშვენებს, რომელსაც მამის საამაყო სახელი გაუნათებს გზას.

ნათელი დაგადგეს, ძმაო!

გია პლატონიშვილი

ინტერნეტიდან

ბალან როდრიგესი გაანაწყენა

პოპულარული არგენტინელი მოდელი და სერიალების მსახიობი ბლენ როდრიგესი (რომელსაც სხვადასხვა დროს არაერთ არგენტინელ სპორტსმენთან ჰქონია რომანი) იძახის, რომ ერთ-ერთი არგენტინული საფეხბურთო კლუბის შექმნა სურდა, მაგრამ ამ საქმეში ვიღაც-ვიღაცებმა ხელი შეუშალეს.

ამოლტილი ბელენი არგენტინის ნაკრების დიდი გულშემატკივარია და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც სშირად ესწრება, თუმცა მისი მხრიდან კლუბის შექმნის სურვილი მაინც უცნაურად ჟღერს.

„არ მსურს იმ კლუბის დასახელება, რომლის შექმნასაც ვაპირებდი. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ის არ არის ბუნდოს აირუსის კლუბი. სამწუხაროდ, არგენტინულ ფეხბურთში არიან ადამიანები, რომლებიც ასეთი გარიგებების ჩაშლით არიან დაკავებულნი. მე მიიხრეს, რომ ჩემი სექსუალური იმიჯი არგენტინულ ფეხბურთს კარგს არაფერს მოუტანდა, თუმცა ვერ ვხვდები, რატომ არის ჩემი სექსუალურობა ცუდი და მიუღებელი“ – ამბობს გულნატკენი ბლენ როდრიგესი.

როსტომ რაჭველიშვილი



© პოეტი სიტყვას ითხოვს

დარდმა ლექსად ამოხეთქა...

დაქავეზი

დეკემბერია ნამდვილი, ხეებს დასცვივდა ფოთლები, რას ქაქანებენ ამ დილით სკვერში უზნელი ლოთები.

ეს ჩვენი ქუჩის მხვეტავი, რა მოხდენილი ქალია... თუ გაეხუმრნენ ნეტავი, აბა, სხვა რა უხარიათ.

დეკემბერია თბილისში, ქარს მიჰყვებიან ფოთლები, რას ქირქილებენ ვინ იცის, სკვერში უზნელი ლოთები.

თოვდა

თოვდა ისე მეფურად, ისე ჩამობარდნილა, გათოშილი ბელურა, ხიდან ჩამოვარდნილა.

თანაც ისე დათოვა, გაქრა ნაფეხურები, აღარც ჩვენი დატოვა, აღარც ნაბეღურები.

წელს უშენოდ მათოვს და თვალი დამენამება, ერთად როცა გვათოვდა, ის დრო დამენანება.

თოვს და კიდევ ითოვებს, ციდან ფიფქი რამდენი, მწარე ფიქრებს მიტოვებს, ფიფქი ცრემლის დამდენი.

წელსაც წინანდებურად, უხვად ჩამობარდნილა, არ ჩანს ხეზე ბელურა, ალბათ, ჩამოვარდნილა.

თანაც ისე დათოვა, გაქრა ნაფეხურები, აღარც ჩემი დატოვა აღარც ნაბეღურები!

უპირო

ახლა ვის ვანდო შენთვის სათქმელი, ან ვინ გამიგებს შენზე ძალიან, ჩამოიღვენთა ყველა სანთელი, ნუთუ ოცნებამ სული დალია?!

თითქოს დადუმდა მთელი სოფელი, როგორც წყვიდადი უმთვარო ღამით, სადღაც ხარხარებს მეფისტოფელი და ყველაფერი თავდება ამით.

კალამბური

ღმერთო, ჩემს ხალხს ნუ დატოვებ უპატრონოს, ნუ დატოვებ უჭმელ-უსმელს, უექიმოს, ნეტა ვინმემ ნაცბანდასაც „უპატრონოს“ ნეტა ვინმემ „ცნობლი გიჟსაც“ უექიმოს!

* * *

ნუთუ ძნელია იმის დანახვა, იმის გაგება, რაც ჩვენთან ხდება? ადამიანო, ბრმა ხომ არა ხარ, ყრუ ხომ არა ხარ, რა გემართება? რამ „დაგაჩმორა“, რამ დაგაკინა, აღარც ძალა გაქვს, აღარც მორალი, ეგ სისხლი მაინც რამ გაგიყინა „ნადიდგორალი, ნაშამქორალი“?!

როცა ავღანი...

როცა ამდენი მათხოვარია მიუსაფარი და მშვიერია.

როცა ამდენი ცრემლის ღვარია, ნუთუ „ცხოვრება მშვენიერია“?

„დავღამი იქ, სადას ქარიშხალია“

ბალატიონი თავისუფლება ემზარ კვიციანს! ყველა პატრიოტს ყველა მისიანს! თუ ეს ვერ შევძლეთ, ხალხო, ქართველო, რისი ღირსია ეს საქართველო?!

ზ. ბაქაძე

ტყვემალზე ზის ტყვემალაძე, „კურკებს“ ისვრის შინდის, ნეტავ ჩვენი ცოდვით სავსე რად არ სწყალობს სინდისს?

* * *

თუკი სინდის-ნამუსი, ქართველს აღარ აწვალეებს, ნურც ელირსოს მამულში, შენდობას და საძვალეს.

ვისაც ღრ-ქაჩი ვერ მოერიან

წიგლის ხსენება

საქართველოში დღესაც ბევრია ვინც არ არიან ხსენების

ღირსი, მაგრამ ის ერი რაღა ერი თუ ვერ იგუბა გენია თვისი.

სიბრიყვე სხვა კი არაფერია, გავწიროთ შვილი დიდების

ღირსი, ან „თუ დიდაცი გამოგვერია“ სულაც დავკორტნოთ სხელი მისი.

ვაი, რომ მართლაც „ბედნიერია“ ვინც ვერ იგუბა გენია თვისი, ვისაც დრო-ჟამი ვერ მოერია, ვინ მოიგონა სიკვდილი მისი?!



გულისკაჩვილით

გულისკაჩვილით გყვედრი, ქართველო, რომ არც შენა ხარ ცამდე მართალი, მაშ, რად ისჯება დღეს საქართველო? რატომ დადუმდა ღვთის სამართალი?

ჩვენი გვჭირს, რაც გვჭირს, ხალხო, ქართველო, ვერ გავარჩიეთ მტყუან-მართალი, მიტომ ცოდვილობს დღეს საქართველო, ცხინვალ-აფხაზეთთამონათალი.

ყარმუკაული დილოგი

(ბონე ღაიქერო, ბონე - არა) - ბევრნი ხართ, როცა ცოცხა იქნებით, მაშინ გექნებათ კარგი პენსია - კი, მაგრამ მალე სულ არ ვიქნებით. - თუ არ იქნებით, უკეთესია.

გურამ ჭავჭავაძე 16.12.14.

© წაკვილი

ამოიპირკვეს ე. წ. კოვანიცაში დაიხარხარე დაინაჯრო

ხელისუფალნი, კომპატიბი-ცია მკვლელებთან, ქვეყნის მტრებთან? ასე რამ შეგაყვარათ ისინი! არ მოგწყინდათ მათთან ყოფნა, მათი ბოღმით, ტყუილით გაჯერებული სიტყვების სმენა? რას აკეთებთ პროკურატურა - ვერც ერთი განხმარებული საქმე ბოლომდე რომ ვერ მიიყვანა? თუ ანგარიშს უწევს დასავლეთისა და ამერიკის მხრივ სრულიად უსაფუძვლო შენიშვნებს პოლიტიკური ნიშნით დევნის შესახებ? თავიანთი ასეთი მოქმედებით პროკურატურა არანაკლები დამნაშავეა საზოგადოების წინაშე. გონს მოუგეთ, დრო!

ლონდა მიციანი

© ინფორმაცია

საქართველოსა და ჩინეთს შორის „ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის უსასაზღვრო უმთანხმობა გაფორმდა“

უმთანხმობებს ხელი მოაწერეს საქართველოს მთავრობის სახელით, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, იუე ბინომ.

„უმთანხმობის ფარგლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა საქართველოს მთავრობას გრანტის სახით გამოუყოფს 30 მილიონ ჩინურ იუანს (დაახლოებით 4.8 მლნ აშშ დოლარი). აღნიშნული გრანტი დაფინანსდება საქართველოსთვის პრიორიტეტული ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის პროექტები, რომელთა შერჩევა განხორციელდება მხარეებს შორის კონსულტაციების საფუძველზე.“

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მიერ საქართველოსთვის 2005 წლიდან დღემდე გრანტების სახით უკვე გამოყოფილია 250 მლნ იუანი (დაახლოებით 41.1 მლნ აშშ დოლარი) და 30 მლნ იუანის (შეთანხმების ხელმოწერისთვის დაახლოებით 4.3 მლნ აშშ დოლარი) ოდენობის 20-წლიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტი 10 წლიანი შეღავათიანი პერიოდით, - აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში.

„ფორბსის“ რეიტინგში საქართველო 47-ე ადგილზეა

ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ ბიზნესის წარმომართვის საუკეთესო ქვეყნების ახალი სია წარმოადგინა. სულ რეიტინგში 149 ქვეყანა შევიდა. შეფასებაც რამდენიმე პარამეტრით ხდებოდა, მათ შორის: მოქალაქეების პირადი თავისუფლების დონე, კერძო საკუთრებისა და ინვესტიციების დაცულობის მაჩვენებელი, ტექნოლოგიების განვითარების დონე, ინოვაციების დანერგვის ხარისხი, სახელმწიფოს მიერ ბიზნესზე გავლენა, საგადასახადო ტვირთი და სააქციო ბაზრის მდგომარეობა. აღნიშნულ სიაში საქართველო 47-ე ადგილი დაიკავა, თურქეთმა - 50, სომხეთმა - 56, აზერბაიჯანმა - 60, უკრაინა - 88, ხოლო რუსეთი 91-ე ადგილზე, ელ სალვადორსა და მადაგასკარს შორის განთავსდა.

„ფორბსის“ მკითხველი ჩვენთვის მნიშვნელოვანი აუდიტორიაა, ამიტომ ვიმედობებით, რომ მომავალი წელი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით საქართველოსთვის კიდევ უფრო უკეთესი იქნება, - განაცხადა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძემ, რომელიც ბიზნესის კეთების კუთხით „ფორბსის“ ახალ რეიტინგს გამოეხმაურა.

მისივე განმარტებით, მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვანია იმ ტიპის რეიტინგები, რომლებსაც, მათ შორის, „ფორბსი“ აქვეყნებს.

წვამალ კანდელაკი, წვამალ ლაღანიძე, ელიზბარ ლომინაძე, ზაურ გონაძე, მალხაზ გელევიშვილი ოჯახებით მწუნხარებით იწყებენ უახლოესი მუშაობის, კაცთმოყვარე, საუკეთესო თვისებებით აღსავსე პიროვნების

გივი რაზმაისი

გარდაცვალებას და სამომარს უტყდადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. პანაშვიდი 20 XII, 16 სთ. მისამართი: ცინცაძის ქ. 85 (ყოფილი საბურთალოს ქ. 63). გამოსვენება 21 XII, 13 სთ. დაკრძალვა სოფ. ბინინდაში 14 სთ.

მოქალაქეებს უსაფუძვლოდ დარიცხული თანხები, მთლიანობაში 37 528,32 ლარი ჩამოაწერა. მოქალაქეებსა და კომპანიებს შორის არსებულ დავებზე საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ მიმდინარე კვირის საჯარო სხდომაზე იმსჯელა.

დარიცხული თანხები ჩამოეწერა

კომისია შეახსენებს მოქალაქეებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერჯეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სექტორებში მოქმედი კომპანიების მხრიდან ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევას, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ფენისუქტვერდზე ან ტელეფონის ნომერზე - 242 01 80.

„ფორბსი“, მოგესხენებათ, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი გავლენიანი ბიზნესგამოცემაა. რაც მთავარია, მისი მკითხველი არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი აუდიტორია, განსაკუთრებით მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები და ინვესტორები, რომელთა გადაწყვეტილებაზე, თუ რომელ ქვეყანაში ჩადონ კაპიტალი, მოქმედებს პოზიტიური ინფორმაციები და იმ ტიპის რეიტინგები, რომლებსაც, მათ შორის, „ფორბსი“ აქვეყნებს. ვიმედობენ, რომ მომავალი წელი საქართველოსთვის იქნება კიდევ უფრო უკეთესი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. როგორც მოგესხენებათ, 3 კვარტალის მონაცემებით, საქართველოში მოზიდული იქნა უპროცენტო რაოდენობის ინვესტიცია, რომელიც მილიარდამდე მიწვეს აღწევს. ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ უცხოური ინვესტიციების ზრდის ტენდენცია გაგრძელდება მომავალ წელსაც, - განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ.

რაც შეეხება უშუალოდ „ფორბსის“ ახალ რეიტინგს, ეკონომიკის მინისტრის მოადგილის განმარტებით, საქართველოს რეიტინგი 10 კომპონენტებიდან 6 კომპონენტში გაუმჯობესდა. რეიტინგში პირველ ადგილს დაიწია, ხოლო ბოლოს გვიწია იკავებს.

შს-მ ქურდობის მცდელობის ბრალდებით პირი პირი დააკავეს

შს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა შეტყობინების საფუძველზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის მრავალჯერ ნასამართლვე გიორგი კ. ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

შს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა გიორგი კ. ოზურგეთში, გრიბოდოვის ქუჩაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელი სახლის გაქურდვას ცდილობდა.



„გამოძიებამ დაადგინა, რომ ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის შესასვლელი კარის ბოქლომი დაზიანდა, შიგნით შეაღწია და მოქალაქის კუთვნილ ნივთებს მართლსაწინააღმდეგო გზით დაეფუჭა. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას სამართალდამცველებმა მოპარული ბიუჯეტური და მობილური ტელეფონი ამოიღეს. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, - აღნიშნულია შს-ს განცხადებაში.

დააკავეს თერჯოლის გაგებული თანამშრომელი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებობის სპეციალისტი დააკავა. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებულ გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა 1500 ლარის სანაცვლოდ, უკანონოდ, შესაბამისი ნებართვის გარეშე გაასხვისა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალასთავში მდებარე წყალსაქარს სადგურში დამონტაჟებული წყლის ტუმბო.

საგამოძიებო სამსახური დანაშაულში ჩართული სხვა პირების იდენტიფიცირების მიზნით აგრძელებს საგამოძიებო მოქმედებებს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84.

ინფორმაცია

საფრანგეთს ჯერჯერობით არ შეუძლია, გადასცეს რუსეთს „მისტრალი“, განაცხადა ოლანდმა



შვეულშიზიდი „ვლადივოსტოკი“ უკვე მთლიანადაა მზად გამოყენებისთვის. რუსეთის ფედერაციის სომალდის მინოდების საკვანძო პირობაა უკრაინაში კონფლიქტის მონესრიგება. საფრანგეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ჯერჯერობით საფუძვლები მინოდებისთვის, ისევე როგორც საკმარისი პროგრესისთვის, არ შეინიშნება.

სამხრეთ კორეაში პირველად ისტორიაში აიკრძალა პოლიტიკური პარტია

საკონსტიტუციო სასამართლომ რვა მოსამართლით ერთს წინააღმდეგ მოინონა ქვეყნის მთავრობის პეტიცია მცირერიცხოვანი გაერთიანებული პროგრესული პარტიის დაშლის შესახებ, რომელსაც ქვეყნის ერთპალატიან ეროვნულ კრებაში სამასი მანდატიდან ეკუთვნის ხუთი. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აკრძალა ანალოგიური პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა.


დიდთოვლოვამ იაკონიაში 9 კაცის სიცოცხლე შეინიშნა

კერძო სახლების მცხოვრებლები ჩვეულებრივად იძულებული არიან, არ დაელოდონ უამინდობის დამთავრებას და ასუფთავებენ თოვლისგან სახურავებს, ეშინიათ, რომ სახურავები ვერ გაუძლებს თოვლის სიმძიმეს. უბედური შემთხვევები თოვლის აღების დროს – გარდაცვალებათა ყველაზე გავრცელებული მიზეზია.

რუსეთი მხარს დაუჭირა რეზოლუციას პალესტინის შესახებ, რომელიც შეთანხმდა ბაეროს უშიშროების საბჭოში


რეზოლუციის პროექტის ავტორებს „მოუნვეთ, განსაზღვრონ, მზად არიან თუ არა ისინი, დასვან კენჭისყრაზე თუ არა იგი“, მიუთითა გაეროსთან რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა. მას რეზოლუციის წინადადება მოსწონს: „ტექსტი კარგია. ვფიქრობ, რომ ჩვენ მას მხარს დავუჭერთ, რასაკვირველია“.

კადრი



კროსვოკრიდი

Word search grid containing various words related to the crossword theme. Words are hidden in the grid and indicated by arrows.



ცინცხალი ანეკდოტები

არ მიყვარს ზამთარი და მომკალი ისევ გავცივდი და სურდო შემეყარა, ახლა ვერაფრით გამოირკვევია, რომელი წინადას სუფთა!

— შპრუ ექიმო, როგორ არი ემანდ ჩემი ქმარი?
— ისე, არა უშავს რა, სიცოცხლისთვის საფრთხე არ არის. ჯანმრთელობას თავადაც არ უჩივს. ერთი ეგაა, შეიძლება იმიტომ ვერ ამბობს ვერაფერს, რომ ცოტათი კომაშია...

— იმედი თუ გაქვს, ჩემო ბარდელუ?
— მაქვს, აბა არა მაქვს!
— როგორია ეგ შენი იმედი, ნეტავი?
— სმას მინდა თავი დაგანებო?

— შენც აიღე და დაანებე!
— მერე? როგორ უნდა ვიცხოვრო უიმედოდ?!

— ახალბაზრდა, თუ შეიძლება სიგარეტს ნუ ვწევით, თამბაქოს ბოლისგან საშინლად მახველებს!
— ეჰ, ბიძაჩემო, შენ რა გიჭირს, მე კი ეს თამბაქო სულაც მბრიდავს!

— ჩვენთანა, კახეთშია, ინგრეთ ჩურჩხელებს აკეთებენ, ქალბატონთანა ბოდიში და ორი ხელითა ვერ გადაიღუნამ!

— შიშიკიმის იმფერი მათხოვი ბალანაი ყავენ, კისერზე სარდელი თუ არ მოაბი, ძაღლიც კი არ მოეფერება..

საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაცია: გამომცემელი: შპს „თანადგომა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი: ალექს ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი: მამუკა ვაშაძე 514 33-33-24